ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

სამოქალაქო საზოგადოების პარალელური შეფასება საქართველოს მიერ მდგრადი განვითარების მიზნის 16.10.2 ინდიკატორის შესრულების შესახებ

ნოემბერი, 2017

აკრძალულია ანგარიშში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საკონტაქტო ინფორმაცია:
ა. გრიბოედოვის ქ. № 3
საქართველო, თბილისი, 0108
ტელ: + 995 32 2 92 15 14
ელ-ფოსტა: info@idfi.ge
ვებ-მისამართი: www.idfi .ge

შინაარსი

შესავალი 1

მეთოდოლოგია 2

შეჯამება 5

ძირითადი მიგნებები 6

მონიტორინგის შედეგები 9

1.შინაგან საქმეთა სამინისტრო 9

2.ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 10

3.იუსტიციის სამინისტრო 11

4.გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო 12

5. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 13

6. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 15

7. მთავრობის ადმინისტრაცია 17

8. პრეზიდენტის ადმინისტრაცია 18

9. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია 19

10. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია 21

საჯარო დაწესებულებათა რეიტინგი 23

შესავალი

2015 წლის 25 სექტემბერს, გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე და 2030 წლისთვის მიზნად დაისახა 17 ამოცანის შესრულება. მდგრადი განვითარების მიზნები ორიენტირებულია სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა. სოციალური ინკლუზიის გაზრდისკენ მიმართულია მიზანი 16, რომლის თანახმადაც ქვეყნები შეთანხმდნენ, უზრუნველყონ ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე. ამ მიზნის შესრულების ერთ-ერთი ინდიკატორი კი სახელმწიფოების მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა (ინდიკატორი 16.10.2)

„ინფორმაციის თავისუფლების მხარდამჭერთა საერთაშორისო ქსელის“ (FOIAnet) წევრმა ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს გლობალურად შეეფასებინათ სახელმწიფოთა მიერ მდგრადი განვითარების მიზნების 16.10.2 ინდიკატორის შესრულება. შეფასება

განხორციელდა ერთიანი მეთოდოლოგიით. საქართველოდან ინიციატივაში ჩაერთო ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტიც“ (IDFI).

მეთოდოლოგია

ინფორმაციის თავისუფლების მხარდამჭერთა საერთაშორისო ქსელის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შეფასება განხორციელდა სამ მაჩვენებელზე დაყრდნობით:

- საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება
- ინსტიტუციური მექანიზმები
- საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებებზე რეაგირება

თითოეული მაჩვენებლის მიხედვით უწყებები შეფასდა 0-დან 4-მდე ქულით: 0 - დაბალი შეფასება, 1 - შეფასება დაბალ და საშუალო მაჩვენებელს შორის, 2 - საშუალო შეფასება, 3 - შეფასება საშუალო და სრულ მაჩვენებელს შორის, 4 - მაღალი შეფასება. შესაბამისად, თითოეული უწყებისთვის ქულების მაქსიმალური შესაძლო რაოდენობა იყო 12.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების შეფასებისას IDFI დააკვირდა არამარტო იმას, თუ რამდენად იყო საჯარო დაწესებულებათა ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია, რომლის გამოქვეყნების ვალდებულებაც მათ მოქმედი კანონმდებლობით ეკისრებათ, არამედ ასევე შეაფასა, რამდენად ქვეყნდებოდა მათ ვებგვერდებზე ისეთი ინფორმაცია, რომლის გამოქვეყნების ვალდებულსაც არ გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან, თუმცა რომელიც FOInet-ის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მნივშნელოვანი ნაწილი იყო. მაგალითისთვის, შეფასების ასეთი კრიტერიუმები იყო უწყებათა მიერ რეესტრების, საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის, საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებებზე პასუხის მომზადებისთვის გამოყენებული დროის და მოთხოვნების შინაარსის შესახებ ინფორმაციის ყოველწლიურ ანგარიშებში მითითება.

ინსტიტუციური მექანიზმების შეფასებისას შემდეგი ფაქტორები იქნა გათვალისწინებული: დაწესებულებაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის/პირების პოზიციის არსებობა, საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მიღებული სამართლებრივი და სახელმძღვანელო დოკუმენტები, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხზე თანამშრომლებისთვის ჩატარებული ტრენინგების კურსები და ყოველწლიური ანგარიშების გამოქვყენება. ეს ჩამონათვალი ასევე მოიცავს ისეთ ქმედებებს, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით არასავალდებულოა, თუმცა მონიტორინგის მეთოდოლოგიის მნიშნველოვანი ნაწილია.

საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებებზე რეაგირების დასადგენად IDFI-მ განცხადებით მიმართა ყველა შერჩეულ დაწესებულებას და შეაფასა, რამდენად სრულყოფილად და კანონით დადგენილ ვადებში გასცემდნენ ისინი მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას. IDFI-მ შერჩეულ დაწესებულებებს[1] მიმართა შემდეგი საჯარო ინფორმაციის მიღების მიზნით:

1. *2016-2017 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ ზემდგომ ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან/თანამდებობის პირთან საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად გაგზავნილ მიწერილობათა (წერილობით შეთანხმებათა) ასლები;
2. *2016-2017 წლებში განხორციელებული აუდიტორული შემოწმების (შიდა, გარე, სახელმწიფო და არასახელმწიფო) აქტების ასლები;
3. *2016-2017 წლებში წარმოებულ სასამართლო დავათა ჩამონათვალი დავის საგნის, დავის დაწყებისა და სასამართლოს მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილების/განჩინების მიღების თარიღის (დასრულებული დავების შემთხვევაში), ისევე როგორც დაწესებულების დავაში მონაწილეობის სტატუსის (მოპასუხე, მოსარჩელე, დაინტერესებული მესამე პირი) მითითებით;
4. მრჩეველთა სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია (CV) სახელებისა და გვარების მითითებით;
5. იმ კანონპროექტთა (საკანონმდებლო ცვლილებათა) ასლები, რომლებზეც უწყება დღეის მდგომარეობით მუშაობს და რომლებიც მოცემული დროისთვის არ არის ინიცირებული საქართველოს პარლამენტში;
6. 2017 წელს ბიუჯეტში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული მიმოწერის (მათ შორის ელექტრონული მიმოწერის) ასლები;

თითოეული მოთხოვნაზე მიღებულ პასუხს მიენიჭა ქვემოთ მოცემული შეფასებებიდან ერთ-ერთი.

შეფასება	სიმბოლო
სრულყოფილი	✓
არასრულყოფილი	/
უარი (მათ შორის უმოქმედობით უარი)	✗
საჯარო დაწესებულებაში მოთხოვნილი ინფომრაცია არ ინახება/ქმედება არ განხორციელებულა	—

IDFI-მ FOIAnet-ის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით შეაფასა 10 დაწესებულება. შესაფასებელი დაწესებულებების შერჩევისას IDFI-ის მიზანი იყო, მოეცვა, როგორც

[1] სემეკსა და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში გაგზავნილი მოთხოვნები მონიშნულია ვარსკვლავით - *.

ცენტრალური უწყებები, ისე დამოუკიდებელი და მარეგულირებელი ორგანოები. შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მხრივ IDFI-მ შეაფასა შემდეგი უწყებები:

1. შინაგან საქმეთა სამინისტრო
2. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
3. მთავრობის ადმინისტრაცია
4. იუსტიციის სამინისტრო
5. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
6. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
7. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
8. პრეზიდენტის ადმინისტრაცია
9. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი)
10. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია

შეჯამება

მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ საერთო ჯამში დაწესებულებები ასრულებენ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით კანონმდებლობით მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს. ისინი პასუხობენ საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებებს, შექმნილი აქვთ საჯარო ინფორმაციის ვებგვერდები და ნერგავენ ისეთ ინსტიტუციურ მექანიზმებს, როგორიცაა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირთა დანიშვნა და საჯარო ინფორმაციის მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშების გამოქვეყნება.

მიუხედავად ამისა, მონიტორინგმა მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოავლინა შემდეგი მიმართულებებით: საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებებზე სრულყოფილი პასუხის მომზადება, ზოგიერთი ინსტიტუციური მექანიზმის იმპლემენტაცია და საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება.

საჯარო დაწესებულებებს ჯერ კიდევ არ აქვთ სრულად გათვითცნობიერებული მათზე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება, უპასუხონ საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებებს და, ზოგიერთ შემთხვევაში, მათ უპასუხოდ ტოვებენ, რითიც არღვევენ კანონმდებლობის მოთხოვნებს. ასევე პრობლემურია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებებზე პასუხის კანონით დადგენილ ვადებში მომზადება და ინფორმაციის განმცხადებლისთვის მიწოდება. ხშირ შემთხვევაში, დაწესებულებები განმცხადებლებს არ აცნობებენ ინფორმაციის მოსამზადებლად 10 დღიანი ვადის გამოყენების საჭიროების შესახებ.

დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ ძალზედ იშვიათია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხზე საჯარო მოხელეთა ტრენინგების მაგალითები; მათ არ აქვთ რეგულარული სახე და უფრო მეტად გამონაკლისს წარმოადგენენ. ამასთან, შეფასებული დაწესებულებებიდან არცერთს აქვს შემუშავებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და გაცემის შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც აღწერდა განმცხადებელთა და საჯარო დაწესებულებათა უფლება-ვალდებულებებს. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშებში საჯარო დაწესებულებები არ უთითებენ განცხადებაზე პასუხის მოსამზადებლად გამოყენებული დროის შესახებ და არ აღწერენ განცხადებათა შინაარს. მოქმედი კანონმდებლობა საჯარო დაწესებულებებს არ აკისრებს ამ ვალდებულებას, თუმცა ეს კრიტერიუმი FOIAnet-ის მონიტორინგის მეთოდოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილია.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, უკავშირდება პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ ინფორმაციას. კერძოდ, ხშირ შემთხვევაში, უწყებები არ აქვეყნებენ ისეთ ინფორმაციას, რომლის გამოქვეყნების ვალდებულებაც მათ მოქმედი სამართლებრივი აქტებით აქვთ დაკისრებული. ეს განსაკუთრებით ეხება ინფორმაციას დაგეგმილი და ფაქტიური ბიუჯეტის შესახებ. ამასთან, ძალზედ იშვიათია საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნება დაგეგმილი საჯარო დისკუსიებისა და განხილვების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ აკისრებს საჯარო დაწესებულებებს მონაცემთა ბაზების გამოქვეყნების ვალდებულებას, IDFI მიიჩნევს, რომ სამწუხაროა, როდესაც საჯარო დაწესებულებები არ იჩენენ ინიციატივას ელექტრონულად გამოაქვეყნონ ის მონაცემთა ბაზები, რომლებსაც ისინი აწარმოებენ ყოველდღიური საქმიანობის რეჟიმში. მაგალითისთვის, ყველა საჯარო დაწესებულებაში შექმნილია საჯარო ინფორმაციის რეესტრი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის, მისი მიღების, შექმნის, დამუშავების, გამოცემის თარიღის და იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის შესახებ, რომლისგანაც შემოვიდა ან/და რომელსაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია. შესაბამისად, მათი პროაქტიული გამოქვეყნება (პერსონალური მონაცემების დაცვით) არ არის დაკავშირებული მნიშნველოვან ადამიანურ თუ ფინანსურ რესურსთან.

ძირითადი მიგნებები

საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებებზე რეაგირება

- შეფასებული უწყებებიდან სამმა უპასუხოდ დატოვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ IDFI-ის განცხადებები. ესენია: შინაგან საქმეთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

- კანონმდებლობით დადგენილი 10 დღიანი ვადის გამოყენების აუცილებლობის შესახებ IDFI-ის მხოლოდ სამმა უწყებამ შეატყობინა. ესენია: რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და სემეკი.

- სემეკი ერთადერთი დაწესებულება იყო, რომელმაც სრულყოფილი პასუხი მოგვაწოდა კანონით დადგენილ ვადაში. მან შეგვატყობინა 10 დღიანი ვადის გამოყენების შესახებ და პასუხი მოცემულ ვადის ფარგლებში მოგვაწოდა.

- განსაკუთრებით პრობლემური აღმოჩნდა დაწესებულებათა მიერ იმ კანონპროექტების გასაჯაროება, რომლებიც არ არის ინიცირებული პარლამენტში და რომლებზეც უწყება აქტიურად მუშაობს. უწყებათა განმარტებით, კანონპროექტები წარმოადგენენ შიდა მოხმარების დოკუმენტებს და დაუშვებელი იყო მათი გასაჯაროება.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება

- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო იყო ერთადერთი შეფასებული უწყება, რომელიც საკუთარ ვებგვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას დაგეგმილი სჯარო განხილვებისა და დისკუსიების შესახებ.

- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო გამოირჩა საკუთარ ვებგვერდზე ინტეგრირებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოდულით. სამინისტროს ვებგვერდის სტუმრებს შესაძლებლობა აქვთ, გამოითხოვონ საჯარო ინფორმაცია სამინისტროდან პირდაპირ ვებგვერდის გამოყენებით.

ინსტიტუციური მექანიზმები

- სემეკი ერთადერთ უწყება იყო, რომელმაც საკუთარი თანამშრომლებისთვის ჩაატარა ტრენინგი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხზე.

- სემეკი ასევე იყო ერთადერთი დაწესებულება, რომელმაც 2016 წლის ანგარიშში აღწერა საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ თითოეული განცხადების შინაარსი.

- ყველა შეფასებული უწყება, გარდა წყალმომარაგების გაერთიანებული კომპანიისა, ყოველწლიურად აქვეყნებს საჯარო ინფორმაციის მდგომარეობის შესახებ ანგარიშს.

- საჯარო ინფორმაციის მდგომარეობის შესახებ არცერთი ანგარიში არ მოიცავს მონაცემებს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებებზე პასუხის მომზადების ვადების შესახებ.

- შეფასებული უწყებებიდან არცერთს შეუმუშავებია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და გაცემის შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი.

- გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია არის ერთადერთი დაწესებულება, რომელსაც არ გააჩნია ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის აღსრულების ინსტიტუციური მექანიზმი. დაწესებულებაში არ არსებობს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის პოზიცია (დაწესებულების განმარტებით, ამ ფუნქციას ასრულებს კომპანიის იურიდიული სამსახური), არ მზადდება საჯარო ინფორმაციის მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშები და არ არის მიღებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული რაიმე სახელმძღვანელო დოკუმენტი.

რეკომენდაციები

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებზე დაყრდნობით, IDFI მიმართავს საჯარო დაწესებულებებს შემდეგი რეკომენდაციებით:

- ყველა დაწესებულებამ უნდა შეასრულოს მასზე კანონმდებლებით დაკისრებული ვალდებულებები და დადგენილ ვადებში გასცეს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია. საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებების უპასუხოდ დატოვების პრაქტიკა მიუღებელია და ეწინააღმდეგება კარგი მმართველობის პრინციპებს.

- 10 დღიანი ვადის გამოყენების აუცილებლობის შემთხვევაში, დაწესებულებებმა ამის შესახებ უნდა შეატყობინონ განმცხადებლებს.

- მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებებმა საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადონ შემუშავების ეტაპზე არსებული კანონპროექტები იქამდე, სანამ მოხდება მათი ინიცირება საქართველოს პარალმენტში.

- ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშებში (ე.წ. 10 დეკემბრის ანგარიშები) საჯარო დაწესებულებებმა, გარდა მიღებული განცხადებებისა და გაგზავნილი პასუხების შესახებ სტატისტიკური მონაცემებისა, ასევე უნდა მიუთითონ თითოეული მოთხოვნის შინაარსი, ხოლო მოთხოვნაზე სრული ან ნაწილობრივი უარის შემთხვევაში - შესაბამისი დასაბუთება. ანგარიში ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას თითოეულ განცხადებაზე პასუხის მომზადებისთვის გაწეული დროის შესახებ.

- დაწესებულებებმა ელექტრონულად უნდა გამოაქვეყნონ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებათა რეესტრები.

- ინფორმაციის მოთხოვნის პროცესის გამარტივების მიზნით, დაწესებულებებმა თავიანთ ოფიციალურ ვებგვერდებზე უნდა დანერგონ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის გვერდები.

- საჯარო დაწესებულებებმა საკუთარ თანამშრომლებს უნდა ჩაუტარონ ტრენინგები ინფორმაციის თავისუფლების თემატიკაზე.

- საჯარო დაწესებულებებმა უნდა შეიმუშაონ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და მიღების სახელმძღვანელო დოკუმენტები, რაც ხელს შეუწყობს როგორც შიდა ადმინისტრირების პროცესის გაუმჯობესებას ასევე საზოგადოების ინფორმირებულობას.

მონიტორინგის შედეგები

1. შინაგან საქმეთა სამინისტრო - 2 ქულა

- საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება - ვერ შეფასდა

IDFI-მ ვერ შეძლო სრულად შეეფასებინა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა, რადგან სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ვებგვერდი არ ფუნქციონირებდა განახლებითი სამუშაოების მიმდინარეობის გამო.[2]

- ინსტიტუციური მექანიზმები - 2 - საშუალო შეფასება

სამინისტროში მოქმედებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხიმგებელი პირის პოზიცია და უწყება ყოველწლიურად აქვეყნებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ანგარიშებს. IDFI-მ ვერ მოიპოვა რაიმე ინფორმაცია, რომელიც მიუთითებდა სამინისტროს თანამშრომლებისთვის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხზე ტრენინგების ჩატარებაზე. ვერ მოიძებნა ინფორმაცია ვერც სამინისტროს მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტის შესახებ, რომელიც მარტივ, არასამართლებრივ ენაზე ახსნიდა ინფორმაციის მოთხოვნისა და მიღების პროცედურებს (უწყებამ უპასუხოდ დატოვა მოცემულ საკითხზე ჩვენი შეკითხვები).

- საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებაზე რეაგირება - 0 - დაბალი შეფასება

შინაგან საქმეთა სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ ჩვენი განცხადება. აღნიშნული წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევას და შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით ენიჭება 0 ქულა.

#	მოთხოვნა	შედეგი
1	შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ მიწერილობები	✗
2	აუდიტორული შემოწმების აქტები	✗
3	სასამართლო დავათა ჩამონათვალი	✗
4	მრჩეველთა CV	✗
5	კანონპროექტთა სია	✗
6	მიმოწერა ბიუჯეტის ცვლილებასთან დაკავშირებით	✗

[2] 2017 წლის 10 ნოემბრის მდგომარეობით.

2. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - 4 ქულა

- საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება - 2 - საშუალო შეფასება

საერთო ჯამში, სამინისტრომ აჩვენა დამაკმაყოფილებელი შედეგი ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მხრივ. ვებგვერდზე გამოქვეყნებულია საქართველოს მთავრობის #219 დადგენილებით გათვალისწინებული ისეთი ინფორმაცია, როგორიც არის უწყების ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტიური ხარჯები. სრულად არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია დაგეგმილი და განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. მითითებულია ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის საფასურის შესახებ. ქვეყნდება საჯარო ინფორმაციის მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშები.

მიუხედავად ზემოთქმულისა, სამინისტროს ფუნქციებისა და მანდატის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ სამინისტროს დებულების ხილვის შემთხვევაში. ვებგვერდზე არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია სამინისტროს აუდიტორული შემოწმების შედეგების შესახებ. სამინისტროს მიერ პროაქტიულად ქვეყნდება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშები, თუმცა ისინი არ მოიცავს მონაცემებს განცხადებებზე პასუხის მოსამზადებლად გამოყენებული დროის შესახებ.

- ინსტიტუციური მექანიზმები - 2 - საშუალო შეფასება

სამინისტროში მოქმედებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხიმგებელი პირის პოზიცია და უწყება ყოველწლიურად აქვეყნებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ანგარიშებს.

IDFI-მ ვერ მოიპოვა რაიმე ინფორმაცია, რომელიც მიუთითებდა სამინისტროს თანამშრომლებისათვის საჯარო ინფორმაციის თემაზე ტრენინგების ჩატარებაზე (უწყებამ უპასუხოდ დატოვა ამ საკითხზე ჩვენი შეკითხვა). ვერ მოვიპოვეთ ინფორმაცია ვერც სამინისტროს მიერ შემუშავებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და გაცემის სახელმძღვანელო დოკუმენტის შესახებ.

- საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებაზე რეაგირება - 0 - დაბალი შეფასება

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ ჩვენი განცხადება. აღნიშნული წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევას და შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით ენიჭება 0 ქულა.

#	მოთხოვნა	შედეგი
1	შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ მიწერილობები	✗
2	აუდიტორული შემოწმების აქტები	✗
3	სასამართლო დავათა ჩამონათვალი	✗
4	მრჩეველთა CV	✗
5	კანონპროექტთა სია	✗
6	მიმოწერა ბიუჯეტის ცვლილებასთან დაკავშირებით	✗

3. იუსტიციის სამინისტრო - 8 ქულა

- საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება - 3 - შეფასება საშუალო და მაღალ მაჩვენებელს შორის

იუსტიციის სამინისტრომ აჩვენა მაღალი შედეგი საქართველოს მთავრობის #219 დადგენილებით გათვალისწინებული ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების კუთხით. უწყების ვებგვერდზე სრულად არის გამოქვეყნებული ინფორმაცია სამინისტროს ფუნქციებისა და თანამდებობის პირთა შესახებ. ვებგვერდზე ხელმისაწვდომია სამინისტროს საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, ისევე როგორც უწყების სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები. პროაქტიულად არის გამოქვეყნებული ინფორმაცია სამინისტროსთვის განცხადებით მიმართვისა და საჯარო ინფორმაციის მოსაკრებლის შესახებ.

შედარებით დაბალი პროაქტიული გამჭვირვალობა აჩვენა სამინისტრომ შესყიდვებთან და ბიუჯეტთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნების მხრივ. ვებგვერდზე გამოქვეყნებული აღნიშნული მონაცემები არ არის განახლებული.

- ინსტიტუციური მექანიზმები - 2 - საშუალო შეფასება

სამინისტროში მოქმედებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხიმგებელი პირის პოზიცია და უწყება ყოველწლიურად აქვეყნებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ანგარიშებს. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად საჯარო ინფორმაციის თემატიკაზე მის თანამშრომლებს ტრენინგი არ ჩატარებიათ. სამინისტროს არ აქვს შემუშავებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და გაცემის შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი.

- საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებაზე რეაგირება - 3 - შეფასება საშუალო და მაღალ მაჩვენებელს შორის

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ ჩვენი განცხადება იუსტიციის სამინისტროს მიმდინარე წლის 25 აგვისტოს ჩაბარდა. მოთხოვნილი ინფორმაცია უწყებისგან დაგვიანებით, მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მივიღეთ. ამასთან, სამინისტროს არ მოუწოდებია შეტყობინება პასუხის მოსამზადებლად 10 დღიანი ვადის გამოყენების შესახებ.

მიუხედავად ამისა, სამინისტრომ სრულად მოგვაწოდა შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების შესახებ მიწერილობათა (წერილობით შეთანხმებათა) და აუდიტორული შემოწმების ასლები, ისევე როგორც ინფორმაცია უწყების მიერ წარმოებულ სასამართლო დავათა და სამინისტროს ბიუჯეტში ცვლილებათა განხორციელების შესახებ ფინანსთა სამინისტროსთან განხორციელებული მიმოწერის შესახებ. მინისტრის მრჩეველთა სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით უწყებამ განმარტა, რომ იუსტიციის მინისტრს არ ჰყავს მრჩევლები. რაც შეეხება მოთხოვნას იმ კანონპროექტთა (საკანონმდებლო ცვლილებათა) ასლების გაცემის შესახებ, რომლებზეც უწყება დღეის მდგომარეობით მუშაობს და რომლებიც მოცემული დროისთვის არ არის ინიცირებული საქართველოს

პარლამენტში, იუსტიციის სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, რადგან არ აქვს ოფიციალური დოკუმენტის სახე. იუსტიციის სამინისტრომ მოგვაწოდა მხოლოდ მსგავსი საკანონდებლო ცვლილებების ჩამონათვალი მათი შინაარსის მოკლე აღწერითა და ინიცირების სავარაუდო თარიღების მითითებით.

#	მოთხოვნა	შედეგი
1	შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ მიწერილობები	✓
2	აუდიტორული შემოწმების აქტები	✓
3	სასამართლო დავათა ჩამონათვალი	✓
4	მრჩეველთა სამუშაო გამოცდილება	—
5	კანონპროექტთა სია	/
6	მიმოწერა ბიუჯეტის ცვლილებასთან დაკავშირებით	✓

4. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო - 9

- საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება - 3 - შეფასება საშუალო და სრულ მაჩვენებელს შორის

სამინისტრომ აჩვენა ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საგრძნობლად მაღალი სტანდარტი სხვა შეფასებულ უწყებებთან შედარებით. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ერთადერთი უწყებაა, რომელიც აქვეყნებს ინფორმაციას დაგეგმილი საჯარო დისკუსიებისა და შეხვედრების შესახებ. უწყების ვებგვერდზე სრულად არის გამოქვეყნებული მისი საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, ისევე როგორც სამინისტროს ფუნქციებისა და თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაცია. პროაქტიულად ქვეყნდება უწყების სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები. სამინისტროს ვებგვერდზე მოცემულია დეტალური ინფორმაცია მის დაქვემდებარებაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირების მომსახურებისა და შესაბამისი მომსახურების კატეგორიათა ღირებულების შესახებ. შესაბამისად, ვებგვერდის სტუმრებს შესაძლებლობა აქვთ სამინისტროს ვებგვერდზევე გაეცნონ ამომწურავ ინფორმაციას ცალკეული საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა ვებგვერდების სტუმრობისა და მათზე ინფორმაციის ძებნის საჭიროების გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო დიდწილად აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის #219 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ვებგვერდზე არ ქვეყნდება განახლებული მონაცემები უწყების დაგეგმილი და ფაქტიური ბიუჯეტის, ისევე როგორც სახელწმიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესახებ.

- ინსტიტუციური მექანიზმები - 2 - საშუალო შეფასება
სამინისტროში მოქმედებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხიმგებელი პირის პოზიცია და უწყება ყოველწლიურად აქვეყნებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ანგარიშებს. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ინფორმაციის თავისუფლების თემატიკაზე მის თანამშრომლებს ტრენინგი არ ჩატარებიათ. შეკითხვაზე, შემუშავებულია თუ არა უწყებაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და გაცემის სახელმძღვანელო დოკუმენტი, სამინისტრომ მიუთითა მოქმედ სამართლებრივ აქტებზე, რაც ვერ ჩაითვლება სახელმძღვანელო დოკუმენტად.

- საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებაზე რეაგირება - 4 - მაღალი შეფასება
საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ ჩვენი განცხადება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიმდინარე წლის 25 აგვისტოს ჩაბარდა. მოთხოვნილი ინფორმაცია უწყებამ 10 სამუშაო დღის ვადაში მოგვაწოდა.

სამინისტრომ აჩვენა საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებაზე რეაგირების განსაკუთრებით მაღალი სტანდარტი. უწყებამ სრულყოფილად მოგვაწოდა ინფორმაცია განცხადებით მოთხოვნილ ყველა პუნქტზე. უწყებამ აჩვენა გამჭვირვალობის უფრო მაღალი სტანდარტი ვიდრე ეს მოქმედი კანონმდებლობით არის დადგენილი და სრულად გასცა ინფორმაცია მინისტრთა მრჩეველთა სამუშაო გამოცდილების შესახებ. სამინისტრომ ასევე სრულად მოგვაწოდა ის საკანონდებლო ინიციატივები, რომლებზეც მოცემული დროისთვის მიმდინარეობს მუშაობა თუმცა, რომლებიც არ არის ინიცირებული საქართველოს პარლამენტში.

#	მოთხოვნა	შედეგი
1	შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ მიწერილობები	✓
2	აუდიტორული შემოწმების აქტები	✓
3	სასამართლო დავათა ჩამონათვალი	✓
4	მრჩეველთა სამუშაო გამოცდილება	✓
5	კანონპროექტთა სია	✓
6	მიმოწერა ბიუჯეტის ცვლილებასთან დაკავშირებით	✓

5. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 7 ქულა

- საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება - 2 - საშუალო შეფასება
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებგვერდის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ სამინისტროში ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტი არ არის მაღალი, თუმცა ის დიდწილად აკმაყოფილებს

საქართველოს მთავრობის #219 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა არის ის, რომ უწყებას არ აქვს გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო მონაცემები. ამასთან, ვებგვერდზე არ მოიძებნა სამინისტროსა და მისი საჯარო სამართლის იურდიული პირების მიერ შემოთავაზებული სერვისების შესახებ ინფორმაცია. ნაცვლად ამისა, ვებგვერდის სტუმრების გადამისამართება ხდება კონკრეტული საჯარო სამართლის იურდიული პირების ვებგვერდებზე, სადაც მომხმარებელი თავად უნდა შეეცადოს მოიძიოს ინფორმაცია სერვისებისა და მათი ღირებულების შესახებ. ეს კი ვერ ჩაითვლება სერვისების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების საუკეთესო პრაქტიკად. ვებგვერდზე ვერ მოიძებნა ინფორმაცია ვერც სამინისტროს აუდიტორული შემოწმების აქტების შესახებ.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სრულად აქვეყნებს შემდეგ მონაცემებს: უწყების მანდატის, საქმიანობის მარეგულირებელი აქტების, თანამდებობის პირთა სამუშაო გამოცდილებისა და საკუთარი გეგმებისა და სტრატეგიების შესახებ ინფორმაცია. ვებგვერდზე სრულად არის გამოქვეყნებული განახლებული ინფორმაცია დაგეგმილი და განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

- ინსტიტუციური მექანიზმები - 2 - საშუალო შეფასება

სამინისტროში მოქმედებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხიმგებელი პირის პოზიცია და უწყება ყოველწლიურად აქვეყნებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ანგარიშებს. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ინფორმაციის თავისუფლების თემატიკაზე მის თანამშრომლებს ტრენინგი არ ჩატარებიათ. სამინისტროს არ აქვს შემუშავებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და გაცემის სახელმძღვანელო დოკუმენტი.

- საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებაზე რეაგირება - 3 - შეფასება საშუალო და მაღალ მაჩვენებელს შორის

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ ჩვენი განცხადება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმდინარე წლის 29 აგვისტოს ჩაბარდა. მოთხოვნილი ინფორმაცია უწყებისგან 10 სამუშაო დღის ვადაში - 11 სექტემბერს მივიღეთ, თუმცა სამინისტროსგან არ მიგვიღია რაიმე სახის ცნობა მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდებისთვის 10 დღიანი ვადის გამოყენების შესახებ.

რაც შეეხება მოწოდებული ინფორმაციის შინაარს, სამინისტრომ სრულად გასცა უწყებაში განხორციელებული აუდიტორული შემოწმების აქტები, სამინისტროს მიერ წარმოებულ სასამართლო დავათა ჩამონათვალი, ისევე როგორც ბიუჯეტში ცვლილებებთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროსთან მიმოწერის ასლები. საყურადღებოა, რომ სამინისტრომ მოგვაწოდა ასევე იმ საკანონმდებლო ცვლილებათა სამუშაო ვერსიები, რომელებზეც უწყება აქტიურად მუშაობს, თუმცა რომელიც მოცემული დროისთვის არ არის ინიცირებული საქართველოს პარლამენტში. სამინისტროს ინფორმაციით, 2016-2017 წლებში უწყებაში გადაუდებელი

აუცილებლობით შესყიდვა არ განხორციელებულა. ამასთან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს არ ჰყავს მრჩევლები.

#	მოთხოვნა	შედეგი
1	შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ მიწერილობები	—
2	აუდიტორული შემოწმების აქტები	✓
3	სასამართლო დავათა ჩამონათვალი	✓
4	მრჩეველთა სამუშაო გამოცდილება	—
5	კანონპროექტთა სია	✓
6	მიმოწერა ბიუჯეტის ცვლილებასთან დაკავშირებით	✓

6. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - 7 ქულა

- საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება - 3 - შეფასება საშუალო და მაღალ მაჩვენებელს შორის

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებგვერდზე სრულად არის გამოქვეყნებული საქართველოს მთავრობის #219 დადგენილებით გათვალისწინებული ინფორმაცია. სამინისტრო იყო ერთადერთი შეფასებული უწყება, რომელსაც საკუთარ ვებგვერდზე ინტეგრირებული აქვს ინფორმაციის ონლაინ გამოთხოვის მექანიზმი. უწყების ვებგვერდზე სრულად არის გამოქვეყნებული მისი საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, ისევე როგორც სამინისტროს ფუნქციებისა და თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაცია. პროაქტიულად ქვეყნდება უწყების სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები, ისევე როგორც ამომწურავი ინფორმაცია დაგეგმილი და შესრულებული ბიუჯეტისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

მიუხედავად ამისა, უწყების ვებგვერდზე ვერ მოიძებნა ინფორმაცია სამინისტროს სერვისების შესახებ; ნაცვლად ამისა, ხდება ვებგვერდის სტუმრების გადამისამართება სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა ძირითად ვებგვერდზე (homepage), სადაც მომხმარებელმა თავად უნდა შეძლოს მისთვის სასურველი ინფორმაციის მოძიება. ეს ვერ ჩაითვლება საუკეთესო პრაქტიკად იქიდან გამომდინარე, რომ ამ შემთხვევებში სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს მომხმარებელთა ინფორმირებას მისი სერვისების შესახებ. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ საქართველოს მთავრობის #219 დადგენილების თანახმად, სამინისტრო ვალდებულია პროაქტიულად გამოაქვეყნოს ადმინისტრაციული ორგანოს სერვისების შესახებ ინფორმაცია. მიგვაჩნია, რომ სამინისტროს მიერ საკუთარი უფლებამოსილების ნაწილობრივ დელეგირება საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე არ ათავისუფლებს

მას ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულებისგან. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, სამინისტროს ვებგვერდზე იქმნება სერვისების ვებგვერდი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სერვისების სახეობის, ღირებულებისა და მიმწოდებელი საჯარო სამართლის იურდიული პირის შესახებ.

სამინისტროს ვებგვერდზე ქვეყნდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშები, თუმცა ისინი არ მოიცავს ინფორმაციას განცხადებაზე რეაგირებისთვის გაწეული დროის, ისევე როგორც მონაცემთა გაცემაზე უარის შემთხვევაში შესაბამისი დასაბუთების შესახებ.

- ინსტიტუციური მექანიზმები - 2 - საშუალო შეფასება

სამინისტროში მოქმედებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხიმგებელი პირის პოზიცია და უწყება ყოველწლიურად აქვეყნებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ანგარიშებს. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ინფორმაციის თავისუფლების საკითხებზე მის თანამშრომლებს ტრენინგი არ ჩატარებიათ. სამინისტროს არ აქვს შემუშავებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და გაცემის სახელმძღვანელო დოკუმენტი.

- საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებაზე რეაგირება - 2 - საშუალო შეფასება

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ ჩვენი განცხადება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიმდინარე წლის 29 აგვისტოს ჩაბარდა. მოთხოვნილი ინფორმაცია უწყებისგან 10 სამუშაო დღის ვადაში - 8 სექტემბერს გამოგვეგზავნა. სამინისტრომ გვაცნობა 10 დღიანი ვადის გამოყენების შესახებ.

სამინისტრომ სრულყოფილად მოგვაწოდა ინფორმაცია ბიუჯეტში ცვლილებებთან და გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ შესყიდვებთან დაკავშირებული მიმოწერის შესახებ. სრულად მივიღეთ ასევე ინფორმაცია წარმოებული სასამართლო დავების შესახებ. უწყებამ უარი განაცხადა მინისტრის მრჩეველთა სამუშაო გამოცდილების შესახებ მონაცემების მოწოდებაზე და მიუთითა, რომ აღნიშნული წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს. სამინისტრომ არ გასცა არც იმ კანონპროექტთა ასლები, რომლებზეც უწყება აქტიურად მუშაობს, თუმცა რომელთა პარლამენტში ინიცირება მოცემული დროისთვის არ მომხდარა. რაც შეეხება აუდიტორი შემოწმების აქტებს, სამინისტროს განცხადებით, გარე აუდიტორული შემოწმების აქტები ხელმისაწვდომია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე, ხოლო შიდა აუდიტორული შემოწმების აქტების გაცემაზე კი უწყებამ უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ ის არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას.

#	მოთხოვნა	შედეგი
1	შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ მიწერილობები	✓
2	აუდიტორული შემოწმების აქტები	/
3	სასამართლო დავათა ჩამონათვალი	✓
4	მრჩეველთა CV	✗
5	კანონპროექტთა სია	✗
6	მიმოწერა ბიუჯეტის ცვლილებასთან დაკავშირებით	✓

7. მთავრობის ადმინისტრაცია - 4 ქულა

- საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება - 2 - საშუალო შეფასება
მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ მთავრობის ადმინისტრაცია სრულყოფილად არ ასრულებს საქართველოს მთავრობის #219 დადგენილებით განსაზღვრულ საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტებს. მთავრობის ვებგვერდზე არ არის გამოქვეყნებული ინფორმაცია ადმინისტრაციის ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ. ამ ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია მხოლოდ მთავრობის ადმინისტრაციის დებულებაში. არ არის გამოქვეყნებული განახლებული ინფორმაცია ადმინისტრაციის ბიუჯეტისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

მთავრობის ადმინისტრაცია საკუთარ ვებგვერდზე აქვეყნებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშებს და ხელმისაწვდომია მონაცემები საჯარო ინფორმაციის გაცემის მოსაკრებლის შესახებ. ვებგვერდზე პროაქტიულად ქვეყნდება ინფორმაცია თანამდებობის პირთა სამუშაო გამოცდილების, ადმინისტრაციის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შესახებ.

- ინსტიტუციური მექანიზმები - 2 - საშუალო შეფასება
მთავრობის ადმინისტრაციაში მოქმედებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხიმგებელი პირის პოზიცია და უწყება ყოველწლიურად აქვეყნებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ანგარიშებს. IDFI-მ ვერ მოიპოვა რაიმე ინფორმაცია, რომელიც მიუთითებდა ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებზე ტრენინგების ჩატარებაზე. მთავრობის ადმინისტრაციამ უპასუხოდ დატოვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ ჩვენი განცხადება, რომლის ერთ-ერთი პუნქტი სწორედ ამ საკითხზე დასმული შეკითხვა იყო.

- საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებაზე რეაგირება - 0 - დაბალი შეფასება
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ უპასუხოდ დატოვა საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ ჩვენი განცხადება. აღნიშნული წარმოადგენს მოქმედი

კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევას და ენიჭება უმოქმედობით უარის სტატუსი.

#	მოთხოვნა	შედეგი
1	შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ მიწერილობები	✗
2	აუდიტორული შემოწმების აქტები	✗
3	სასამართლო დავათა ჩამონათვალი	✗
4	მრჩეველთა CV	✗
5	კანონპროექტთა სია	✗
6	მიმოწერა ბიუჯეტის ცვლილებასთან დაკავშირებით	✗

8. პრეზიდენტის ადმინისტრაცია - 7 ქულა

- საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება - 2 - საშუალო შეფასება

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებგვერდზე მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის #692 ბრძანებულებით გათვალისწინებული ინფორმაცია. ვებგვერდზე არ არის მოცემული ადმინისტრაციის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში. ვებგვერდზე არ მოიძებნა მონაცემები საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობის შესახებ.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებგვერდზე სრულად არის გამოქვეყნებული ინფორმაცია ადმინისტრაციის ფუნქციებისა და საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შესახებ. სრულყოფილად ქვეყნდება ასევე სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმებისა და მათი შესრულების შესახებ მონაცემები. ვებგვერდზე სრულად არის მოცემული ინფორმაცია პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებით მიმართვის შესახებ. პროაქტიულად არის გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშები, თუმცა, სხვა უწყებების მსგავსად, ის არ მოიცავს ინფორმაციას განცხადებებზე რეაგირებისთვის გამოყენებული ვადების შესახებ.

- ინსტიტუციური მექანიზმები - 2 - საშუალო შეფასება

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მოქმედებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხიმგებელი პირის პოზიცია და უწყება ყოველწლიურად აქვეყნებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ანგარიშებს. უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ინფორმაციის თავისუფლების საკითხებზე მის თანამშრომლებს ტრენინგი არ ჩატარებიათ. უწყებას არ აქვს შემუშავებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და გაცემის სახელმძღვანელო დოკუმენტი.

- საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებაზე რეაგირება - 3 - შეფასება საშუალო და მაღალ მაჩვენებელს შორის

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ ჩვენი განცხადება პრეზიდენტის ადმინისტრაციას მიმდინარე წლის 29 აგვისტოს ჩაბარდა. მოთხოვნილი ინფორმაცია უწყებისგან 10 სამუშაო დღის ვადაში - 6 სექტემბერს გამოგვეგზავნა. პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან არ მიგვიღია რაიმე სახის ცნობა მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდებისთვის 10 დღიანი ვადის გამოყენების შესახებ.

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ სრულად მოგვაწოდა ინფორმაცია ბიუჯეტში ცვლილებებთან და გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული მიმოწერის შესახებ. ადმინისტრაციამ ასევე გასცა პრეზიდენტის მრჩეველთა სამუშაო გამოცდილების შესახებ ცნობები და ინფორმაცია წარმოებული სასამართლო დავების შესახებ. უწყებამ ასლის სახით გამოგვიგზავნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმების აქტები.

#	მოთხოვნა	შედეგი
1	შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ მიწერილობები	✓
2	აუდიტორული შემოწმების აქტები	✓
3	სასამართლო დავათა ჩამონათვალი	✓
4	მრჩეველთა CV	✓
5	კანონპროექტთა სია	—
6	მიმოწერა ბიუჯეტის ცვლილებასთან დაკავშირებით	✓

9. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი) - 10 - ქულა

- საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება - 3 - შეფასება საშუალო და მაღალ მაჩვენებელს შორის

სემეკის ვებგვერდის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება პროაქტიულად აქვეყნებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში არსებული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ კომისიის #7 დადგენილებით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის ძირითად ნაწილს. კომისიის ვებგვერდზე სრულად არის გამოქვეყნებული: კომისიის საქმიანობისა და მანდატის, შესაბამისი სამართლებრივი აქტების, თანამდებობის პირთა სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია. ხელმისაწვდომია ასევე კომისიის სერვისების დეტალური აღწერა, კომისიის დეტალური ბიუჯეტი და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. სემეკი ერთადერთი დაწესებულება იყო, რომელიც, სხვა შეფასებული ადმინისტრაციული ორგანოებისგან განსხვავებით, ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ყოველწლიურ ანგარიშებში

დეტალურად აღწერს თითოეული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადების შინაარსსა და გაცემულ ინფორმაციას.

მიუხედავად ამისა, ვებგვერდზე ვერ მოიძებნა სრული ინფორმაცია შესყიდვების შესახებ. კერძოდ, არ არის ხელმისაწვდომი 2017 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. სრულყოფილად არ ქვეყნდება ინფორმაცია კომისიის სტრატეგიებისა და გეგმების შესახებ.

- ინსტიტუციური მექანიზმები - 3 - შეფასება საშუალო და მაღალ მაჩვენებელს შორის

სემეკ-ში მოქმედებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხიმგებელი პირის პოზიცია და უწყება ყოველწლიურად აქვეყნებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ანგარიშებს. კომისია ერთადერთი დაწესებულებაა, რომელმაც საკუთარი თანამშრომლებისთვის ჩაატარა ტრენინგი ინფორმაციის თავისუფლების საკითხებზე. უწყებას არ აქვს შემუშავებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და გაცემის სახელმძღვანელო დოკუმენტი. ამ შეკითხვაზე პასუხად კომისიამ მიუთითა საკუთარ დადგენილებაზე ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიული გამოქვეყნების შესახებ, რაც ვერ ჩაითვლება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და გაცემის შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტად.

- საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებაზე რეაგირება - 4 - მაღალი შეფასება

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ ჩვენი განცხადება კომისიას მიმდინარე წლის 29 აგვისტოს ჩაბარდა. მოთხოვნილი ინფორმაცია დაწესებულების მიერ 10 სამუშაო დღის ვადაში - 12 სექტემბერს მოგვეწოდა. კომისიამ გვაცნობა ინფორმაციის მოწოდებისთვის 10 დღიანი ვადის გამოყენების შესახებ.

კომისიამ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სრულყოფილი სახით მოგვაწოდა განხორციელებული აუდიტორული შემოწმების ასლები. სრულად მივიღეთ ინფორმაცია კომისიის მიერ წარმოებული სასამართლო დავების შესახებაც. რაც შეეხება შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ ზემდგომ ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან / თანამდებობის პირთან გაგზავნილ მიწერილობათა (წერილობით შეთანხმებათა) ასლებს, კომისიის განმარტებით, მსგავსი შესყიდვა დაწესებულების მიერ 2016-2017 წლებში არ განხორციელებულა.

#	მოთხოვნა	შედეგი
1	შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ მიწერილობები	—
2	აუდიტორული შემოწმების აქტები	✓
3	სასამართლო დავათა ჩამონათვალი	✓

10. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია - 4 ქულა

- საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება - 1 - შეფასება დაბალ და საშუალო მაჩვენებელს შორის

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ვებგვერდზე არ არის შექმნილი საჯარო ინფორმაციის გვერდი. მიუხედავად ამისა, კომპანიის ვებგვერდზე მოცემულია სრული მონაცემები მისი საქმიანობისა და მანდატის, საქმიანობის მარეგულირებელი აქტების, დირექტორისა და მისი მოადგილეების სამუშაო გამოცდილების შესახებ. ვებგვერდის სტუმრებს შეუძლიათ გაეცნონ დეტალურ ინფორმაციას კომისიის სერვისების შესახებ.

კომისია არ აქვეყნებს საკუთარი ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციას. ვებგვერდზე არ არის ხელმისაწვდომი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშები. არ ქვეყნდება მონაცემები ინფორმაციის გამოთხოვის პროცედურების თუ მასთან დაკავშირებული მოსაკრებლის შესახებ.

- ინსტიტუციური მექანიზმები - 0 - დაბალი შეფასება

კომპანიას არ გააჩნია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ინსტიტუციური მექანიზმები. ის არ აქვეყნებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშებს. კომპანიაში არ არის შექმნილი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირის პოზიცია. დაწესებულების განმარტებით, ამ ფუნქციას ასრულებს კომპანიის იურიდიული სამსახური. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას თანამშრომლებისთვის არ ჩაუტარებია ტრენინგი ინფორმაციის თავისუფლების საკითხზე. კომპანიაში არ არის შემუშავებული ინფორმაციის მოთხოვნისა და გაცემის სახელმძღვანელო დოკუმენტი.

მიუხედავად ზემოთქმულისა უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ სრულყოფილი სახით მოგვაწოდა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ ჩვენი განცხადებით გათვალისწინებული მონაცემები (დეტალურად იხილეთ ქვემოთ). IDFI-ის პრაქტიკის თანახმად სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიული პირებში მოქმედებს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დაბალი სტანდარტი. უმეტეს შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის არასწორი განმარტების შედეგად კომპანიები მიუთითებენ, რომ ისინი არ წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოს შესაბამისად არ აქვთ საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება. აღნიშნული პრაქტიკისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიდგომა, როდესაც ის სრული სახით გასცემს მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას, შესაბამისად უზრუნველყოფს კომპანიაში ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის დაცვას.

- საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებაზე რეაგირება - 3 - შეფასება საშუალო და მაღალ მაჩვენებელს შორის

კომისიამ სრულყოფილი სახით მოგვაწოდა ინფორმაცია განცხადებით მოთხოვნილ ყველა პუნქტზე. მიუხედავად ამისა, მან ინფორმაცია გასცა კანონმდებლობით დადგენილი ვადების მნიშვნელოვანი დარღვევით და არ გვაცნობა 10 დღიანი ვადის გამოყენების აუცილებლობის შესახებ.

კომპანიამ სრულად გასცა ინფორმაცია წარმოებული სასამართლო დავებისა და აუდიტორული შემოწმების შესახებ. სრულად მივიღეთ ასევე შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ ზემდგომ ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან/თანამდებობის პირთან გაგზავნილ მიწერილობათა (წერილობით შეთანხმებათა) ასლები.

#	მოთხოვნა	შედეგი
1	შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ მიწერილობები	✓
2	აუდიტორული შემოწმების აქტები	✓
3	სასამართლო დავათა ჩამონათვალი	✓

საჯარო დაწესებულებათა რეიტინგი

თითოეული საჯარო დაწესებულება შეფასდა 0-დან 4-მდე ქულით თითოეულ კრიტერიუმში: პროაქტიული გამოქვეყნება, ინსტიტუციური მექანიზმები, და საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებაზე რეაგირება.

0 - დაბალი შეფასება
1 - შეფასება დაბალ და საშუალო მაჩვენებელს შორის
2 - საშუალო შეფასება
3 - შეფასება საშუალო და მაღალ მაჩვენებელს შორის
4 - მაღალი შეფასება

საჯარო დაწესებულება	პროაქტიული გამოქვეყნება	ინსტიტუციური მექანიზმები	საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებაზე რეაგირება	ჯამური ქულა
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია	შეფასება საშუალო და მაღალ მაჩვენებელს შორის 3	შეფასება საშუალო და მაღალ მაჩვენებელს შორის 3	მაღალი შეფასება 4	10
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	შეფასება საშუალო და მაღალ მაჩვენებელს შორის 3	საშუალო შეფასება 2	მაღალი შეფასება 4	9
იუსტიციის სამინისტრო	შეფასება საშუალო და მაღალ მაჩვენებელს შორის 3	საშუალო შეფასება 2	შეფასება საშუალო და მაღალ მაჩვენებელს შორის 3	8
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საშუალო შეფასება 2	საშუალო შეფასება 2	შეფასება საშუალო და მაღალ მაჩვენებელს შორის 3	7
პრეზიდენტის ადმინისტრაცია	საშუალო შეფასება 2	საშუალო შეფასება 2	შეფასება საშუალო და მაღალ მაჩვენებელს შორის 3	7
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	შეფასება საშუალო და მაღალ მაჩვენებელს შორის 3	საშუალო შეფასება 2	საშუალო შეფასება 2	7
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საშუალო შეფასება 2	საშუალო შეფასება 2	დაბალი შეფასება 0	4
მთავრობის ადმინისტრაცია	საშუალო შეფასება 2	საშუალო შეფასება 2	დაბალი შეფასება 0	4
გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	შეფასება დაბალ და საშუალო მაჩვენებელს შორის 1	დაბალი შეფასება 0	შეფასება საშუალო და მაღალ მაჩვენებელს შორის 3	4
შინაგან საქმეთა სამინისტრო	–	საშუალო შეფასება 2	დაბალი შეფასება 0	2